სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

09735673526423

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230357183

რეგისტრაციის თარიღი

21.03.2023 წ

ნოტარიუსი: რუსუდან ფიფია
მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #10
ტელეფონი: 2223678

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო, ქალაქი თბილისი

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაერთ მარტს მე, ნოტარიუს რუსუდან ფიფიას, რომლის საწოტარო ბიურო მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირ N10-ში, მომმართა შპს-მ ,,ეიმ ბილდინგ სითი", წარმოდგენილმა დირექტორის გია ბასიაშვილის სახით. გია ბასიაშვილმა განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რის საფუძველზეც შპს ,,ეიმ ბილდინგ სითი"-ს სახელით შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს შპს-ს **,,ტერასა გრუპი"** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404536445), წარმოდგენილი დირექტორის დავითი ჩიჩუას (პირადი N19001032035) სახით.

დავადგინე გია ბასიაშვილის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემოწმებისას მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. ასევე, შევამოწმე გია ბასიაშვილის უფლებამოსილება.

გია ბასიაშვილი არის შპს ,,ეიმ ბილდინგ სითი"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 400154319) დირექტორი, თანახმად შპს ,,ეიმ ბილდინგ სითი"-ს შესახებ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერისა, გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23032302, 07/03/2023 17:30:28.

შემდეგ, შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე გია ბასიაშვილს. მან განაცხადა, რომ მინდობილობა შეესაბამება მარწმუნებლის, შპს ,,ეიმ ბილდინგ სითი"-ს ნებას და ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი ამ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაერთ მარტს შპს-მ **,,ეიმ ბილდინგ სითი"** (მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საიდენტიფიკაციო ნომერი: 400154319, რეგისტრაციის თარიღი: 06/10/2015, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი, №41გ, სართული 5, ბინა N11), შემდგომში ,,მარწმუნებელი" წარმოდგენილი დირექტორის **გია ბასიაშვილის** (დაბადებული 03. 08. 1991 წელს ბორჯომში, რეგისტრირებული მისამართი: თბილისი, სულხან-საბას ქუჩა N7, პირადი N01022009708) სახით, **შპს-ს ,,ტერასა გრუპი"** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404536445), შემდგომში ,,რწმუნებული", წარმოდგენილი მისი დირექტორის **დავითი ჩიჩუას** (დაბადებული 18. 04. 1987 წელს ზუგდიდში, რეგისტრირებული მისამართი: თბილისი, ბესარიონ ჟღენტის ქუჩა N7ა, ბინა N57, პირადი N19001032035) სახით, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს მარწმუნებლის ინტერესები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან, მათ შორის, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან ურთიერთობაში და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებულია ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N44-ში (საკადასტრო კოდი N01.17.10.002.398) მდებარე მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის კორექტირებასთან და შესაბამისი ნებართვის გაცემასთან.

მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით კომპეტენტურ ორგანოებში წარადგინოს განცხადება/განაცხადი (წერილობითი, ასევე ელექტრონული ფორმით), შექმნას და მოიპოვოს (გამოითხოვოს) ნებისმიერი სახის დოკუმენტი, ხელი მოაწეროს შესაბამის საბუთებს, გაასაჩივროს მიღებული აქტები, გადაწყვეტილებები.

რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია მინდობილი დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა ძალაშია 2023 წლის ოცდაერთი მაისის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს რუსუდან ფიფიას სანოტარო არქივში, ორი ეგზემპლარი გადაეცა შპს ,,ეიმ ბილდინგ სითი"-ს დირექტორს, გია ბასიაშვილს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ნოტარიუს რუსუდან ფიფიას სანოტარო არქივში, თან ერთვის შპს ,,ეიმ ბილდინგ სითი"-ს შესახებ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერი, გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23032302, 07/03/2023 17:30:28.

,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის ოცდაცხრა დეკემბრის N507 დადგენილების 31-ე მუხლის შესაბამისად გადახდილია საზღაური 30 ლარი + ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი, სულ 35 ლარი.

მარწმუნებელი გია ბასიაშვილი
შპს ,,ეიმ ბილდინგ სითი", წარმოდგენილი დირექტორის
გია ბასიაშვილის სახით

ნოტარიუსი /რუსუდან ფიფია/

საქართველო * GEORGIA * ГРУЗИЯ. НОТАРИУС РУСУДАН ФИФИА * 01008047274 * NOTARY RUSUDAN PIPIA